

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**მაკა კორინთელი**

**კლინიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის თავისებურებანი  
ქრომაფინომით და ჰიპერკორტიციზმით დაავადებულ  
ავადმყოფებში**

14.00.03 – ენდოკრინოლოგია

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

თბილისი  
2006

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტში

- სამეცნიერო ხელმძღვანელი: – **ელენე გიორგაძე**  
მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი
- ოფიციალური ოპონენტები: – **ციური სუმბაძე**  
ბიოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი (14.00.03)
- დავით კეზელი**  
მედიცინის მეცნიერებათა  
კანდიდატი (14.00.03)
- კობა კოპლატაძე**  
მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი (14.00.03)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის \_\_\_\_\_ საათზე,  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სადისერტაციო  
საბჭოს M 14.03 9 სხდომაზე (0177, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 33).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის \_\_\_\_\_

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

ნ. კაკაურიძე

Тбилисский Государственный Медицинский  
Университет

*на правах рукописи*

**Мака Коринтели**

**ОСОБЕННОСТИ КЛИНИКИ, ДИАГНОСТИКИ И ЛЕЧЕНИЯ  
БОЛЬНЫХ С ХРОМАФФИНОМой И ГИПЕРКОРТИЦИЗМОМ**

14.00.03 – Эндокринология

АВТОРЕФЕРАТ

диссертации на соискание  
учёной степени кандидата медицинских наук

Тбилиси

2006

Работа выполнена в Тбилиском Государственном Медицинском Университете

- Научный руководитель: - **Елена Гиоргадзе**,  
доктор медицинских наук,  
профессор
- Официальные оппоненты: - **Циури Сумбадзе**  
доктор биологических наук,  
профессор( 14.00.03)
- Давид Кезели**  
кандидат медицинских  
наук (14.00.03)
- Коба Коплатадзе**  
доктор медицинских наук,  
профессор( 14.00.03)

Защита состоится \_\_\_\_\_ 2006 г. в \_\_\_\_\_ часов на заседании диссертационного совета М 14.03 № 9 Тбилиского Государственного Медицинского Университета (0177, Тбилиси, пр. Важа Пшавела, 33)

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке Тбилиского Государственного Медицинского Университета (0160, Тбилиси, пр. Важа Пшавела, 29)

Автореферат разослан \_\_\_\_\_ 2006 г.

Учёный секретарь диссертационного совета,  
доктор медицинских наук,  
профессор

Н. Какауридзе

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

### პრობლემის აქტუალობა

ენდოკრინული დაავადებების უმრავლესობა მიმდინარეობს არტერიული ჰიპერტენზიით (ქრომაფინომა, იცენკო კუშინგის დაავადება და სინდრომი, აკრომეგალია, სიმსუქნე და ა. შ.), რომლებსაც ახასიათებთ პათოგენეზის და კლინიკური მიმდინარეობების თავისებურებანი და განსხვავებულია ჰიპერტონული დაავადებისაგან (Белоусов С. С., Гуляева В. В., Каюшева О. В., 1982; Кушаковский М. С., 1982; Левина Л. И., 1985; Татонь Ян., 1981; Теппермен Д., Теппермен Х., 1989; ჩაჩიბაია ვ.ა., Roberts J.M., 1981). ხანგრძლივი არსებობა, თუნდაც მსუბუქი ფორმის არტერიული ჰიპერტენზიის იწვევს გულის, თავის ტვინის, თირკმლის სისხლძარღვების დამახასიათებელ ცვლილებებს. ამ ცვლილებებით გამოწვეული გართულებები (ცერებრალური, კარდიოვასკულარული) ინვალიდობის და სიკვდილიანობის ხშირი მიზეზია. აქედან გამომდინარე, არტერიული ჰიპერტენზიის ადრეული და ზუსტი დიაგნოზის დიაგნოსტიკა მოითხოვს პაციენტის მრავალმხრივ გამოკვლევას დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება არამარტო ზუსტი დიაგნოსტიკა, არამედ განვითარების მექანიზმების გაშიფვრა და მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა

არტერიული ჰიპერტენზია – ეს არის არტერიული წნევის მომატების სინდრომი. არტერიული ჰიპერტენზიის 90-95% შემთხვევას წარმოადგენს ჰიპერტონული დაავადება (ესენციური არტერიული ჰიპერტენზია), სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს მეორად, სიმპტომურ არტერიულ ჰიპერტენზიას: თირკმლისმიერი – 3-4%, ენდოკრინული – 0,1 – 0,3%, ჰემოდინამიური, სტრესული, განპირობებული ზოგიერთი წამლის მიღებით და ორსულთა.

ქრომაფინომა გავრცელებულია, დაახლოებით, 0,03% შემთხვევაში. ამ დაავადებით აშშ ყოველწლიურად იღუპება დაახლოებით 800 ადამიანი. ამ ავადმყოფების ასაკი 30-40 წელია.

სამწუხაროდ, ჰორმონალური რეგულაციის დარღვევების მოქმედება დაავადების ფორმირებაზე და მიმდინარეობაზე შესწავლილი არ არის. არ არსებობს ერთიანი შეხედულება პათოგენეზის, კლინიკის და მკურნალობის მეთოდების შესახებ ამ დაავადებების დროს, საკმარისი ყურადღება არ ეთმობა დაავადების განვითარების თავისებურებისა და მიმდინარეობის შესწავლას.

მიუხედავად დიაგნოსტიკის მეთოდების მრავალფეროვნებისა, ხშირ შემთხვევაში, მაინც რთულია არტერიული ჰიპერტენზიის ეტიოლოგიის დადგენა. ლიტერატურული მონაცემებიც ადასტურებენ, რომ ეს პრობლემა ბოლომდე შესწავლილი არ არის ( Авдеева Т. Ф. , Казеев К. Н., Демидов В.Н. и др. ,1992; Кузнецов Н. С., Лотов А. Н. , Кулезнева Ю. В. ,1996; Мухарлямов Н. М., Беленков Ю. Н. ,1981; Abrams HL, Siegelman SS, Adams PF, et al. ,1982; Ackerman R., Bachmann K.D. Behredt et al. ,1987). ხშირად ენდოკრინული დაავადება იწყება ან ვლინდება გულსისხლძარღვთა სისტემის დაზიანების სიმპტომებით ( Славина Л. С.,1979; Lapidus L., Dengtsson C., Lindqist O. et al.,1985). ამ შემთხვევაში კარდიოლოგიური სიმპტომები ნიღბავს ენდოკრინულს და პაციენტი შემთხვევით ხდება კარდიოლოგიური პროფილის ავადმყოფი და შესაბამისად, მკურნალობაც ტარდება ეტიოლოგიური ფაქტორის გამომჟღავნების გარეშე.

არ იქნება გადამეტებული, თუ ვიტყვით, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება სწორად შეფასდეს

დაავადების მიმდინარეობა, დაინიშნოს ადექვატური მკურნალობა და განისაზღვროს დაავადების პროგნოზი. განსაკუთრებით ეს ეხება ენდოკრინული სისტემის დაავადებებს ( Левина Л. И.,1985; Ратнер Н. А. , Палеева Ф. М., Серебровская Ю. А. и др.,1978.)

ავთვისებიანი ჰიპერტენზია ეს არის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება არტერიული წნევის ციფრების მყარი მომატებით (დიასტოლური წნევა > 130 mmHg), თვალის ფსკერის დაზიანებით (ბადურაში სისხლჩაქცევა, ექსუდაცია და ხშირად თვალის ნერვის შეშუპება) და თირკმლის უკმარისობის განვითარებით. პაციენტების უმრავლესობა ავთვისებიანი ჰიპერტენზიით – არიან პაციენტები მეორადი ავთვისებიანი ჰიპერტონული სინდრომით, რომელიც ხშირად ვითარდება ენდოკრინული პათოლოგიის დროს (ქრომაფინომის, კონის სინდრომის, რენინმაპროდუცირებელი სიმსივნის დროს).

ჰიპერტენზიის მკურნალობა საგრძნობლად აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს და მის ხანგრძლივობას. ვინაიდან არანამკურნალები ჰიპერტენზია პირდაპირ პროპორციულია ინსულტის, გულის იშემიური დაავადების, გულის უკმარისობის, თვალის ბადურის დაზიანების, თირკმლის დაავადების სიხშირესთან, აუცილებელია ჰიპერტენზიის განვითარების მექანიზმების შესწავლა. (Теппермен Д., Теппермен Х.,1989; . James T. N.,1976).

აქედან გამომდინარე, ქრომაფინომის და ჰიპერკორტიციზმის კლინიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის შესწავლა და მათი მექანიზმების გაშიფვრა აუცილებელია დიაგნოზის დასადგენად დაავადების განვითარების ადრეულ სტადიაზე, რათა დროულად იქნეს აცილებული თავიდან ისეთი ორგანული გართულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ავადმყოფის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და ხარისხზე.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქრომაფინომის და ჰიპერკორტიციზმის დროული დიაგნოსტიკის და მკურნალობის კრიტერიუმების შესწავლა.

დასახული მიზნის მისაღწევად ჩვენ დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

➤ პაციენტებში, იცენკო კუშინგის დაავადებებით და სინდრომით, შესწავლილ იქნას კორტიზოლის და ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის (აკტჰ) დღეღამური სეკრეცია სისხლში და 17 – OKS ექსკრეცია დღეღამურ შარდში.

➤ ქრომაფინომით დაავადებულ პაციენტებში შესწავლილ იქნას კატექოლამინების ( ადრენალინის, ნორადრენალინის, ვანილილნუშისებრი მჟავის) ექსკრეცია დღეღამურ და ჰიპერტონული კრიზიდან 3 საათის განმავლობაში შეგროვებულ შარდში.

➤ ქრომაფინომით, იცენკო-კუშინგის დაავადებით და სინდრომით დაავადებულ პაციენტებში შესწავლილ იქნას გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობა.

➤ შესწავლილ იქნას ტოპიკური დიაგნოსტიკის მეთოდები.

➤ შესწავლილ იქნას გამოკვლევის ლაბორატორიული მეთოდების ღირებულება.

## მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ერთადერთ სისტემატიზებულ ნაშრომს დღეისათვის არსებულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეყრდნობა მრავალფეროვან კლინიკას, გამოკვლევებს და მკურნალობას ქრომაფინომით, იცენკო-კუშინგის სინდრომით და დაავადებით დაავადებულ პაციენტებს ერთი კლინიკის ფარგლებში.

### **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**

გამოკვლევების მსვლელობის დროს მიღებულ შედეგებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დაავადების დროულად გამოვლენისათვის, როდესაც არსებობს ეჭვი თირკმელზედა ჯირკვლოვან ჰიპერტენზიაზე.

დაავადების დიაგნოსტიკის შემდეგ აუცილებელია შეირჩეს მკურნალობის ოპტიმალური მეთოდი, რომლის მიზანია დაავადების კლინიკური სიმპტომების უკუგანვითარება, კატექოლამინების დონის ნორმალიზაცია შარდში, კორტიზოლის და ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის ნორმალიზაცია და მისი სეკრეციის რითმის აღდგენა სისხლში. ამის შედეგად შესაძლებელი იქნება ისეთი გართულებების დროულად აცილება, როგორცაა ცერებრალური, კარდიოვასკულარული და ა. შ.

### **დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები**

1. ავადმყოფებს დისპლასტიური ტიპის სიმსუქნით, მუქი წითელო ფერის სტრიებით, მატრონიზმით აუცილებლად უნდა განესაზღვროთ კორტიზოლის და კორტიკოტროპინის ცირკადული რიტმი.

2. ქრომაფინომით დაავადებულ პაციენტებს პაროქსიზმული მიმდინარეობით ზუსტი ჰორმონალური დიაგნოსტიკისათვის აუცილებლად უნდა განესაზღვროთ კატექოლამინების ექსკრეცია 3 საათიან შარდში ჰიპერტონული კრიზის შემდეგ, ხოლო მუდმივი და შერეული ფორმით – კარექოლამინების ექსკრეცია დღელამურ შარდში.

3. ავადმყოფებს, თირკმელზედა ჯირკვლიდან გამოწვეული ჰიპერტენზიით, ეკგ-ზე აღინიშნება ჰიპოკალიემიის, მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები და რითმის დარღვევა.

4. ქრომაფინომის და იცენკო-კუშინგის სინდრომის ტოპიკური დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია თირკმელზედა ჯირკვლის ულტრაბგერითი და კომპიუტერული კვლევა, ხოლო იცენკო-კუშინგის დაავადებისათვის – დამატებით ჰიპოფიზის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია.

### **სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები**

სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებული იქნა თ.ს.ს.უ კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (ოქმი 6, 26.06.2005) და თსსუ შინაგანი დაავადებების კათედრაზე (ოქმი 10, 29.02.2006).

სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 5 სტატია, მათ შორის, 3 რეფერირებად ჟურნალში. დისერტაციის მასალები მოხსენებული იქნა საქართველოს ენდოკრინოლოგთა I ყრილობაზე - 2004წ. წარმოდგენილია 2 პოსტერი – მე-10 ენდოკრინოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე ჰონგ-კონგში – 2006წ. და მე-8 ენდოკრინოლოგთა ევროპულ კონგრესზე გლაზგოში – 2006წ.

## ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია წარმოდგენილია რუსულ ენაზე, 96 ნაბეჭდ გვერდზე და შეიცავს შემდეგ თავებს: შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას, მასალას და მეთოდებს, საკუთარ გამოკვლევებს და შედეგებს, დასკვნებს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს და გამოყენებულ ლიტერატურას. დისერტაცია ილუსტრირებულია 3 სქემით, 2 დიაგრამით და 22 ცხრილით. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს 121 წყაროს.

## გამოკვლევის მასალა და მეთოდები

ქ. თბილისის 4 კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინულ დარღვევათა განყოფილებაში 1988 წლიდან გამოკვლეული იქნა 97 ავადმყოფი სავარაუდოდ თირკმელზედა ჯირკვლოვანი გენეზის არტერიული ჰიპერტენზიით. ავადმყოფების ასაკი მერყეობდა 19 და 68 წლამდე. დაავადების ხანგრძლივობა იყო 6 თვიდან 14 წლამდე. მათ შორის, ქალი იყო 59, მამაკაცი – 38.

თირკმელზედა ჯირკვლის დაავადების განვითარების ენდოკრინული მექანიზმების შესასწავლად, ყველა პაციენტს ჩაუტარდა შემდეგი გამოკვლევები: კორტიზოლისა და კორტიკოტროპინის ცირკადული რიტმის განსაზღვრა სისხლში, 17 – OS განსაზღვრა შარდში, ადრენალინის, ნორადრენალინის და ვანილილმუნისებრი მჟავის განსაზღვრა დღელამურ და კრიზიდან 3 საათის განმავლობაში შეგროვებულ შარდში, გლუკოზისადმი ტოლერანტობის განსაზღვრის ტესტი.

გარდა ზემოთაღნიშნული, აუცილებელი გამოკვლევებისა, გამოყენებული იქნა შემდეგი გამოკვლევები: სისხლის და შარდის საერთო ანალიზი, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი, ელექტროლიტური ცვლა, კოაგულოგრამა, ელექტოკარდიოგრაფია, გულის ულტრაბგერითი გამოკვლევა, დენსიტომეტრია.

ამ გამოკვლევების შემდეგ აუცილებელი იყო დაავადების ლოკალიზაციის განსაზღვრა. ამ მიზნით, გამოყენებული იქნა თირკმელზედა ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და ჰიპოფიზის მაგნიტურ – რეზონანსული ტომოგრაფია ( სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო -კვლევით ინსტიტუტში).

საკვლევი მასალის ციფრობრივი მონაცემები დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით სტიუდენტის კრიტერიუმის (t) გამოყენებით, სარწმუნოდ ვთვლიდით სხვაობას  $P \leq 0,05$ -ის მნიშვნელობისას.

## გამოკვლევის შედეგები და მათი განხილვა

თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებები არ იყო დიაგნოსტირებული არც ერთ შემთხვევაში არტერიული ჰიპერტენზიის 1 წლამდე არსებობის დროს. არტერიული ჰიპერტენზიის 3 წლამდე არსებობისას ქრომაფინომის დიაგნოზი იყო დასმული 3 შემთხვევაში; 5 წლამდე – 9 შემთხვევაში და 5 წელზე მეტი – 16 შემთხვევაში. არტერიული ჰიპერტენზიის 5 წლამდე არსებობის დროს იცენკო – კუშინგის დაავადების დიაგნოზი იყო დასმული 6 შემთხვევაში, ხოლო 5 წელზე მეტის დროს – 14 შემთხვევაში. არტერიული ჰიპერტენზიის 3 წლამდე არსებობისას იცენკო – კუშინგის სინდრომის დიაგნოზი დადგინდა 6 შემთხვევაში, 5 წლამდე – 4 შემთხვევაში, 5 წელზე ზემოთ – 5 შემთხვევაში. იცენკო – კუშინგის პარანეოპლასტური სინდრომის დიაგნოზი დადგინდა 2 შემთხვევაში არტერიული



ჰიპერტენზიის 5 წელზე ზემოთ არსებობის დროს. ქრომაფინომის რეციდივის დიაგნოზი – 2 შემთხვევაში. (ცხრილი 1).

ცხრილი №. 1. ავადმყოფების განაწილება არტერიული ჰიპერტენზიის ხანგრძლივობის მიხედვით.

ნოზოლოგია	ხანგრძლივობა	1 წლამდე	3 წლამდე	5 წლამდე	5 წელზე მეტი
ქრომაფინომა n=28		—	3	9	16
იცენკო-კუშინგის დაავადება n=20		—	—	6	14
იცენკო-კუშინგის სინდრომი n=15		—	6	4	5
ექტოპიურად მაპროდუცირებელი აკტპ-სინდრომი n=2		—	—	—	2
სხვა ეტიოლოგიის აპ n=30		2	6	13	9
ქრომაფინომის რეციდივი n=2		—	—	—	2

n – ავადმყოფების რაოდენობა

თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგიის დიაგნოზი 18 წლამდე არ იყო დასმული არც ერთ შემთხვევაში. ასაკობრივ ჯგუფში 18 დან 25 წლამდე იცენკო – კუშინგის დაავადების დიაგნოზი იყო დასმული 4 შემთხვევაში, იცენკო – კუშინგის სინდრომის დიაგნოზი – 3 შემთხვევაში. ჯგუფში 26-დან 35 წლამდე ქრომაფინომის დიაგნოზი იყო დასმული 4 შემთხვევაში, იცენკო – კუშინგის დაავადების დიაგნოზი 11 შემთხვევაში, იცენკო – კუშინგის სინდრომის დიაგნოზი - 6 შემთხვევაში. ექტოპიურად მაპროდუცირებელი აკტპ – სინდრომი -1 შემთხვევაში. ასაკობრივ ჯგუფში 36-დან 45 წლამდე ქრომაფინომის დიაგნოზი იყო დასმული 10 შემთხვევაში, იცენკო – კუშინგის დაავადების დიაგნოზი 5 შემთხვევაში, იცენკო – კუშინგის სინდრომის დიაგნოზი 3 შემთხვევაში, ექტოპიურად მაპროდუცირებელი აკტპ – სინდრომი - 1 შემთხვევაში. ჯგუფში 46 წელზე ზემოდ ქრომაფინომის დიაგნოზი იყო დასმული 14 შემთხვევაში, იცენკო – კუშინგის სინდრომის დიაგნოზი 3 შემთხვევაში. ქრომაფინომის რეციდივის დიაგნოზი იყო დასმული 2 შემთხვევაში. პაციენტების ასაკი იყო 44 და 56 წელი. დანარჩენ 30 შემთხვევაში არტერიული ჰიპერტენზია გამოწვეული იყო სხვა, არაენდოკრინული მიზეზებით (ცხრილი №2).

ცხრილი №2. ავადმყოფების განაწილება ასაკის მიხედვით.

დაავადება ასაკი	ქრომა- ფინომა n=28	ქრომაფინო- მის რეციდივი n=2	იცენკო- კუშინგის დაავადება n=20	იცენკო- კუშინგის სინდრომი n=15	ექტოპიურად მაპროდუცირე- ბელი აკტჰ სინდრომი n=2	სხვა ეტი- ოლოგიის აპ n=30
18 წლამდე	—	—	—	—	—	2
18-25 წელი	—	—	4	3	—	3
26-35 წელი	4	—	11	6	1	3
36-45 წელი	10	1	5	3	1	7
46 და მეტი	14	1	—	3	—	15


n=ავადმყოფების რაოდენობა

### ქრომაფინომის კლინიკური სურათი.

ქრომაფინომის დიაგნოზი იყო დასმული 28 შემთხვევაში. აქედან 18 იყო ქალი, 10 - მამაკაცი. დაავადების ხანგრძლივობა იყო 2 დან 15 წლამდე. ყველა პაციენტი უჩიოდა არტერიული წნევის ციფრების მატებას (240 – 300 / 140 – 160 mmHg).

ქრომაფინომის კლინიკური გამოვლინებები ხასიათდებოდა დიდი ვარიაბელობითა და მიმდინარეობის სხვადასხვა ვარიანტით (დიაგრამა №1).

დიაგრამა №1. ავადმყოფების განაწილება ქრომაფინომის მიმდინარეობის მიხედვით



n=28

როგორც დიაგრამიდან ჩანს, დაავადების კრიზული მიმდინარეობით იყო 16 პაციენტი, 10 – შერეული მიმდინარეობით და 2 – მუდმივი მიმდინარეობით.

პაციენტებში, დაავადების კრიზული მიმდინარეობით ქრომაფინომის დიაგნოზი იყო დასმული 2 შემთხვევაში დაავადების 3 წლამდე ხანგრძლივობის დროს, 4 შემთხვევაში – დაავადების 5 წლამდე ხანგრძლივობის დროს და 10 შემთხვევაში – დაავადების 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის დროს.

10 პაციენტში, რომელთაც აღენიშნებოდათ დაავადების შერეული ფორმა, ქრომაფინომის დიაგნოზი იყო დასმული 1 შემთხვევაში დაავადების 3 წლამდე

ხანგრძლივობის დროს, 4 შემთხვევაში – დაავადების 5 წლამდე ხანგრძლივობისას და 5 შემთხვევაში – დაავადების 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის დროს.

დაავადების მუდმივი მიმდინარეობის დროს ქრომაფინომის დიაგნოზი დაისვა 1 შემთხვევაში დაავადების 5 წლამდე ხანგრძლივობისას და აგრეთვე 1 შემთხვევაში დაავადების 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის დროს.

ყველა ავადმყოფი, რომელსაც ჰქონდათ დაავადების კრიზული მიმდინარეობა, უჩიოდნენ არტერიული წნევის მატების შეტევით ხასიათს. შეტევები ვითარდებოდა უეცრად. დაავადების განვითარების ადრეულ სტადიაზე (5 წლამდე) კრიზები ვითარდებოდა იშვიათად და კრიზებს შორის ინტერვალები შეადგენდა 2 – თვეს. კრიზებს შორის პერიოდში რაიმე სპეციფიურ ჩივილებს პაციენტები არ აღნიშნავდნენ.

ქრომაფინომის პაროქსიზმული ფორმის მქონე პაციენტებში კრიზები მიმდინარეობდა უფრო მძიმედ, ჭარბობდა ფსიქონევროლოგიური და ვეგეტატიური ცვლილებები.

16 პაციენტიდან ათს უფრო ხშირად აღენიშნებოდა გულის არემი ტკივილი, ქოშინი და გულისცემის შეგრძნების ჩივილები. გულისცემის სიხშირე აღწევდა 120 – 140 დარტყმას წუთში. 2 ავადმყოფში აღინიშნებოდა ბრადიკარდია (40-50 დარტყმ წუთში).

2 პაციენტში აღინიშნებოდა კუჭ – ნაწლავის სინდრომის სიმპტომები – გულისრევის შეგრძნება, ღებინება, ტკივილი მუცლის არემი, ნერწყვის გამოყოფა, შეკრულობა. ჩვენი აზრით, ტკივილები იყო გამოწვეული გლუვი კუნთების სისხლძარღვების სპაზმით და ქსოვილების იშემიით.

შეტევის დროს 6 პაციენტს აღენიშნა ტემპერატურის მატება 38 – 39 გრადუსამდე, რაც დაკავშირებული იყო კატექოლამინების ჰიპერპროდუქციით გამოწვეული ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებასთან და თერმორეგულაციის დარღვევასთან. კრიზის ხანგრძლივობა მერყეობდა რამოდენიმე წუთიდან რამოდენიმე საათამდე. როგორც წესი, კრიზი მთავრდებოდა უეცრად და თითქმის ერთნაირად. კრიზის შემდეგ აღინიშნებოდა დიდი რაოდენობით ღია ფერის შარდის გამოყოფა. კანი ხდებოდა ვარდისფერი, თბილი, ზოგადი მდგომარეობა უმჯობესდებოდა, მაგრამ 2 – 3 საათის განმავლობაში რჩებოდა სისუსტე, კუნთების ტკივილი, ოფლიანობა. არტერიული წნევა უბრუნდებოდა ნორმას. კრიზებს შორის პერიოდში 6 პაციენტს არ აღენიშნებოდა რაიმე სახის ჩივილი, ხოლო კლინიკურ – ლაბორატორიული მონაცემები პათოლოგიას არ ავლენდა გარდა კომპიუტერული ტომოგრაფიისა (ცხრილი №3).

ცხრილი3. სიმპტომების სიხშირე არტერიული ჰიპერტენზიური კრიზების დროს

სინდრომები	სიმპტომები	სიმპტომების სიხშირე n/%
გულსისხლძარღვოვანი	გულისცემა	12/42,0
	ტკივილი გულის არეში	26/91,0
	აკროციანოზი	1/2,0
	ცხვირიდან სისხლდენა	1/2,0
ფსიქოლოგიური	თავის ტკივილი	28/100,0
	თაბრუსხვევა	16/56,0
	მხედველობის დაქვეითება	2/5,0
	პარესთეზიები	15/51,0
	კრუნხვები	2/5,0
ვეგეტატიური	შემცივნება	22/80,0
	ოფლიანობა	13/48,0
	კანის სიფერმკთაღე	11/37,0
	კანკალი	16/56,0
	გაღიზიანება	4/10,0
	სიცხის შეგრძნება	6/20,0
მეტაბოლური	ზოგადი სისუსტე	28/100,0
	გახდობა	1/2,0
	ციებ - ცხელება	6/20,0
	წყურვილი	4/10,0
	პოლიურია	5/16,0

ზემოთაღნიშნული ჰიპერტენზიული კრიზები 6 ავადმყოფში პაროქსიზმული ფორმით წარმოადგენდა ერთადერთ კლინიკურ სიმპტომს. დროთა განმავლობაში, 5 წელზე მეტი დაავადების ხანგრძლივობის შემთხვევაში, 10 პაციენტს მუდმივად აღენიშნებოდა გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემების, ნივთიერებათა ცვლის, გულის რითმის დარღვევები, ცვლილებები ე.კ.გ – ზე, მხედველობის, მეხსიერების, შრომისუნარიანობის დაქვეითება, ნევრასტენია, კახექსია (რაც იყო დაკავშირებული კატექოლამინების მუდმივ ზემოქმედებასთან).

10 შემთხვევაში დაავადება ხასიათდებოდა შერეული მიმდინარეობით. ამ პაციენტებს არტერიული წნევა ჰქონდათ მუდმივად მომატებული, რის ფონზეც ვითარდებოდა ჰიპერტენზიული კრიზები. ამ დროს არტერიული წნევა მკვეთრად მატულობდა, ზოგ შემთხვევაში, აღწევდა კრიტიკულ ზღვარს (300 / 140 mmHg - მდე). ამ შემთხვევაში კრიზების მიმდინარეობა არსებითად არ განსხვავდებოდა კრიზისაგან დაავადების პაროქსიზმული მიმდინარეობის დროს. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს რომ პაციენტებში, შერეული ფორმის დროს, კრიზების ინტენსივობა იყო ოდნავ სუსტი და პირველ პლანზე გვევლინებოდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევების სიმპტომატიკა. ამგვარი განსხვავება შეიძლება აიხსნას იმით, რომ შერეული ფორმის დროს კრიზები ვითარდებოდა უკვე არსებული პათოლოგიური ცვლილებების ფონზე, რომლებიც გამოწვეული იყო მუდმივად მომატებული არტერიული წნევით და ადვილად აღიქმებოდა სუბიექტურად. ამასთან ერთად კრიზი, რომელიც ვითარდება შედარებით ჯანმრთელი ორგანიზმის და ნორმალური წნევის ფონზე, გადაიტანებოდა უფრო რთულად. შერეული ფორმის დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევების უპირატესობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მისი კომპენსატორული მექანიზმების განღვევასთან ხანგრძლივი არტერიული ჰიპერტენზიის ფონზე.

2 შემთხვევაში დაავადება ხასიათდებოდა მუდმივი მიმდინარეობით. ამ პაციენტებს აღენიშნებოდათ მუდმივად მომატებული არტერიული წნევა ( 240/120 mmHg), კრიზები საერთოდ არ აღენიშნებოდათ და კლინიკური სურათი თითქმის არ განსხვავდებოდა ჰიპერტონული დაავადებისაგან. ამ პაციენტების ასაკი იყო 46 წელზე მეტი. ერთი პაციენტის დაავადების ხანგრძლივობა იყო 5 წლამდე, მეორე პაციენტის – 5 წელზე მეტი. ეს პაციენტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უშედეგოდ მკურნალობდნენ კარდიოლოგებთან.

ვინაიდან დღეისათვის თირკმელზედა ჯირკვლიდან გამოწვეული არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკის კონკრეტული მარკერები არ არსებობს, ეს ავადმყოფები ენდოკრინოლოგებთან დაავადების დაწყებიდან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ხვდებიან, როდესაც, სამწუხაროდ, უკვე ვიტარდება შეუქცევადი ორგანული გართულებები, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს ავადმყოფის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და ხარისხზე. აქედან გამომდინარე, თირკმელზედა ჯირკვლიდან გამოწვეული არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკა და მისი თავისებურებების გამოვლინება აუცილებელია ამ ავადმყოფების სწორი და დროული მკურნალობისთვის.

### ***ეკგ-ნიშნები ქრომაფინომის დროს.***

მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია (მპჰ) ავადმყოფებში არტერიული ჰიპერტენზიით ქრომაფინომის დროს წარმოადგენს კომპენსატორულ რეაქციას. ამასთან ერთად მპჰ – ეს არის პირველი ნაბიჯი შეგუბებითი გულის უკმარისობის, რითმის დარღვევის და გულის იშემიური დაავადების (გიდ) განვითარებაში.

დაავადების განვითარების ადრეულ ეტაპებზე მპჰ არ ვლინდებოდა ეკგ-ზე. მაგრამ, დაავადების ხანგრძლივ მიმდინარეობასთან ერთად, მარცხენა პარკუჭის მასა იზრდებოდა, მისი ელექტრული აქტივობა სულ უფრო აჭარბებდა მარჯვენა პარკუჭის ელექტრულ აქტივობას და QRS-ვექტორი იხრებოდა მარცხნივ და უკან მარცხენა პარკუჭის მხარეს.

2 ავადმყოფს მუდმივი ფორმით, 7 ავადმყოფს შერეული ფორმით (მათ შორის 5 ავადმყოფს დაავადების ხანგრძლივობით 5 წელზე ზემოთ და 2 ავადმყოფს დაავადების ხანგრძლივობით 5 წლამდე), და აგრეთვე 8 ავადმყოფს კრიზული ფორმით (მათ შორის, 1 ავადმყოფს დაავადების ხანგრძლივობით 3 წლამდე, 3 ავადმყოფს – 5 წლამდე, და 4 ავადმყოფს – 5 წელზე ზემოთ) ეკგ-ზე გამოავლინდა მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები მისი მუდმივი გადაძაბვის გამო: მაღალი R-კბილები მარცხენა გულმკერდის განხრებში ( $V_5, V_6$ ) და ავადმყოფებში შერეული ფორმით კრიზის დროს რითმის დარღვევები აღინიშნა ათივე ავადმყოფს. (წინაგულოვანი და პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია – 6 ავადმყოფში, 4 ავადმყოფში – სინუსური პაროქსიზმული ტაქიკარდია.)

ხანგრძლივმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ რიტმის დარღვევები აღინიშნება კრიზებს შორის პერიოდში. წინაგულოვანი და პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია დაფიქსირდა ავადმყოფებში მუდმივი ფორმით.

ავადმყოფებში, კრიზული ფორმით, რითმის დარღვევები კრიზებს შორის პერიოდში გამოვლინდა 4 ავადმყოფში დაავადების ხანგრძლივობით 5 წელზე მეტი, 2 ავადმყოფში შერეული ფორმით დაავადების ხანგრძლივობით 5 წელზე მეტი.

აქედან გამომდინარე, დაავადების ხანგრძლივი არსებობის დროს (5 წელზე მეტი) ეკგ-ზე აღინიშნა მიოკარდიუმის დაზიანების ნიშნები (მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია) და რითმის დარღვევა (წინაგულოვანი და პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია), რაც მიუთითებს დაავადების დიაგნოსტიკის დაგვიანებაზე.

### ***ქრომაფინომის ჰორმონალური დიაგნოსტიკა***

ქრომაფინომის დიაგნოსტიკა შედგება დაავადების კლინიკური სურათის ანალიზისა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარებისაგან. ქრომაფინული ქსოვილის ძირითადი ლაბორატორიული ნიშანი არის კატექოლამინების, მისი წინამორბედებისა და მეტაბოლიტების შემცველობის მომატება სისხლში და შარდში.

ნაშრომში ჩვენ ვსწავლობდით ადრენალინის (ა), ნორადრენალინის (ბ) და ვანილილ-ნუშისებრი მუავის (ვნმ) დღელამურ ექსკრეციას და სპონტანური ჰიპერტენზიური კრიზის შემდეგ 3 საათის განმავლობაში.

კატექოლამინებისა და ვ.ნ.მ. – ს დღელამური ექსკრეციის განსაზღვრა, როდესაც ეჭვია ქრომაფინული ქსოვილის სიმსივნეზე, ამ დაავადების პორმონალური დიაგნოსტიკის ყველაზე უტყუარი მეთოდია. ჩვენ ეს მეთოდი გამოვიყენეთ 38 პაციენტში.

კატექოლამინების ნორმალური შემცველობა 24 საათიან შარდში: ადრენალინი – 52,9 1,36 ნმოლ/24სთ; ნორადრენალინის – 166 10,1 ნმოლ/24სთ; ვ.ნ.მ. – 11,9 1,0 მკმოლ/24სთ.

12 პაციენტში დაავადების პაროქსიზმული ფორმით შეტევებს შორის პერიოდში ვ.ნ.მ. და კატექოლამინების ექსკრეცია იყო ნორმაში. დანარჩენ 4 ავადმყოფში მაჩვენებლები ნორმის ზედა ზღვარზე იყო ან ოდნავ აღემატებოდა ნორმის ზედა ზღვარს. (ცხრილი.№4).

ცხრილი.№4. კატექოლამინების და ვ.ნ.მ. შემცველობა დაავადების პაროქსიზმული მიმდინარეობის დროს.

	ადრენალინი ნმოლ/24სთ	ნორადრენალინი ნმოლ/24სთ	ვ.ნ.მ. მკმოლ/24სთ
ქრომაფინომა n=4	68,9±3,26	226,3± 6,1	21,9±3,4
ჯანმრთელი პირები n=10	52,9±1,36	166,0± 10,1	11,9±1,0

დაავადების შერეული და მუდმივი მიმდინარეობის შემთხვევაში ვ.ნ.მ. და კატექოლამინების დღელამური ექსკრეცია მუდმივად მომატებული იყო ყველა შემთხვევაში, ანუ 10 პაციენტში შერეული ფორმით და 2 პაციენტში მუდმივი ფორმით (ცხრილი №5).

ცხრილი .№5. კატექოლამინების და ვ.ნ.მ. შემცველობა დაავადების შერეული და მუდმივი მიმდინარეობის დროს.

	ადრენალინი ნმოლ/24სთ	ნორადრენალინი ნმოლ/24სთ	ვ.ნ.მ. მკმოლ/24სთ
ქრომაფინომა n=12	162,9±1,26	356,0 ± 8,1	41,9±1,3
ჯანმრთელი პირები n=10	52,9±1,36	166,0± 10,1	11,9±1,0

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კატექოლამინების და ვ.ნ.მ. ექსკრეციის მაჩვენებლები პაროქსიზმული მიმდინარეობის დროს ნორმალური იყო 12 შემთხვევაში, როდესაც შერეული და მუდმივი ფორმის მქონე პაციენტებში მაჩვენებლები მომატებულია ყველა შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ დაავადების პაროქსიზმული ტიპის დროს კატექოლამინების ექსკრეციის გამოკვლევას აქვს დაბალი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა.

უფრო მგრძობიარე, ზუსტი დიაგნოსტიკური ტესტი აღმოჩნდა კატექოლამინების განსაზღვრა სპონტანური კრიზის შემდეგ 3 საათის განმავლობაში შეგროვებულ შარდში. ამ ტესტის დიაგნოსტიკური ღირებულება უფრო მომატებულია ავადმყოფებში, რომლებსაც კრიზებს შორის პერიოდში კატექოლამინების რაოდენობა შარდში უმნიშვნელოდ მომატებული ან ნორმალური აქვს.

ავადმყოფებში კრიზული მიმდინარეობით კატექოლამინების ექსკრეცია 3-საათიან შარდში განისაზღვრა თექვსმეტივე შემთხვევაში. თექვსმეტივე პაციენტს კრიზული მიმდინარეობით ეს მაჩვენებელი მომატებული ჰქონდა.

დანარჩენ 10 ავადმყოფში ქრომაფინომის სავარაუდო დიაგნოზით, კატექოლამინების ექსკრეცია 3-საათიან შარდში სპონტანური კრიზის შემდეგ არ განსხვავდებოდა ნორმალური მაჩვენებლებისაგან.

ცხრილი №6. კატექოლამინების ექსკრეცია ქრომაფინომის და სხვა პათოლოგიის დროს.

	ადრენალინი (11-76 ნმოლ/24)		ნორადრენალინი (47-236 ნმოლ/24)		ვ.ნ.მ (3-26 მკმ/24)	
	M ± m	p	M ± m	p	M ± m	p
ქრომაფინომა n=28	148,1±4,5 t=20,2	<0,001	388,1±19,79 t=9,9	<0,001	84,25±2,0 t=32,3	<0,001
სხვა ეტიოლოგიის არტერიული ჰიპერტენზია n=30	67,8±3,5 t=3,9	<0,001	199,8 ± 16,8 t=1,6	>0,10	19,3 ± 1,8 t=3,49	<0,001
ჯანმრთელი პირები n=10	52,9 ± 1,36		166 ± 10,1		11,9 ± 1,0	

შენიშვნა: შედეგები ითვლება სარწმუნო, თუ  $P \leq 0,05$ .

როგორც ცხრილიდან ჩანს, კატექოლამინების და ვნმ-ის ექსკრეცია ქრომაფინომით დაავადებულ პაციენტებში მომატებული იყო ყველა შემთხვევაში ჯანმრთელ პირებთან შედარებით, რაც აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო ( $P \leq 0,05$ ). სხვა ეტიოლოგიის არტერიული ჰიპერტენზიის შემთხვევაში ადრენალინის და ვნმ -ის ექსკრეცია იყო მომატებული ჯანმრთელ პირებთან შედარებით, რაც აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო ( $P \leq 0,05$ ). ხოლო ნორადრენალინის ექსკრეცია აგრეთვე აღმოჩნდა მომატებული, მაგრამ აღმოჩნდა სტატისტიკურად არასარწმუნო ( $P > 0,10$ ).

გარკვეული ადგილი ქრომაფინომების დიაგნოსტიკაში უკავია ფუნქციურ სინჯებს (პროვოკაციული და მახლოკირებელი). ეს ფარმაკოლოგიური სინჯებს, რომელთა არსი მდგომარეობს სეკრეციის პროვოცირებაში ან დაბლოკვაში სხვადასხვა პრეპარატების გამოყენებით, გამოიყენება საეჭვო კლინიკური და ლაბორატორიული გამოვლინებების შემთხვევაში.

არტერიული ჰიპერტენზიის კრიზული მიმდინარეობის დროს გამოიყენება პროვოკაციული სინჯი ჰისტამინით კრიზებს შორის პერიოდში კატექოლამინების აუცილებელი განსაზღვრით 3-საათიან შარდში და არტერიული წნევის ციფრების კონტროლით. ჩვენ შემთხვევაში ჰისტამინის სინჯი ჩავატარეთ 30 ავადმყოფში ქრომაფინომაზე ეჭვით. სინჯი აღმოჩნდა დადებითი 16 ავადმყოფში კრიზული მიმდინარეობით. 2 ავადმყოფში მიღებული იქნა ცრუუარყოფითი პასუხი, მაგრამ კატექოლამინების, ვნმ-ის და კომპიუტერული ტომოგრაფიის მონაცემები ადასტურებდა ქრომაფინომის დიაგნოზს.

ქრომაფინომის დიაგნოზის დადგენა ან უარყოფა იმ პაციენტებში, ვისაც აქვთ მუდმივად მაღალი არტერიული წნევა, საჭიროებს მახლოკირებელი სინჯის ჩატარებას რეჟიმით კატექოლამინების აუცილებელი განსაზღვრით 3-საათიან შარდში და არტერიული წნევის ციფრების კონტროლით. ეს სინჯი ჩავატარეთ 20 ავადმყოფში. სინჯი აღმოჩნდა დადებითი 8 ავადმყოფში შერეული ფორმის დროს და 2 ავადმყოფში მუდმივი ფორმის დროს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციური სინჯების ინტერპრეტაცია უნდა ხდებოდეს ერთობლივად კლინიკო-ლაბორატორიულ მონაცემებთან ერთად.

ფართოდ მათი გამოყენება შეიძლება იმ პაციენტებში, ვისაც აქვთ სხვადასხვა ფორმები არტერიული ჰიპერტენზიისა და ესაჭიროებათ სპეციალიზირებული გამოკვლევა და იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება კატექოლამინების განსაზღვრა შარდში.

ქრომაფინომით დაავადებული 28 ავადმყოფიდან პოსტოპერაციულ პერიოდში ჩვენ მოგვმართა 15 ავადმყოფმა. ესენი იყვნენ ავადმყოფები 35 წელს გადაცილებულები 5 წელზე მეტი დაავადების არსებობით და ერთი 33 წლის ავადმყოფი დაავადების არსებობით 5 წლამდე. მათ შორის დაავადების კრიზული მიმდინარეობა ჰქონდა 8 ავადმყოფს, შერეული ფორმა – 6 ავადმყოფს და მუდმივი ფორმა ერთ ავადმყოფს.

ქირურგიული მკურნალობიდან 6 თვის შემდეგ ავადმყოფები არ აღნიშნავდნენ ჩივილებს, არტერიული წნევის ციფრები ნორმის ფარგლებში იყო. ერთი წლის შემდეგ არტერიული წნევის ციფრებმა დაიწყო მატება 4 ავადმყოფში შერეული და ერთ ავადმყოფში მუდმივი მიმდინარეობით. ავადმყოფებში კრიზული მიმდინარეობით არტერიული წნევის ციფრებმა დაიწყო მატება დაახლოებით 3 წლის შემდეგ, მაგრამ კრიზები არ აღენიშნებოდათ და არტერიული წნევის ციფრები იყო მუდმივად მომატებული (150-180/100-120 mmHg). ამ შემთხვევაში არტერიული წნევის მატება აიხსნება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ასაკობრივი ცვლილებების განვითარებით.

აქედან გამომდინარე, ქრომაფინომის პორმონალური აქტივობის განსაზღვრა კატექოლამინების ექსკრეციით 3-საათიან შარდში სპონტანური კრიზის შემდეგ დიაგნოსტიკურად უფრო ინფორმატიულია, ვიდრე მისი 24-საათიანი მონაცემები. დაავადების დროული დიაგნოსტიკით შეიძლება ავიცილოდ ისეთი გართულებები, როგორცაა გულის რითმის დარღვევა, გულის უკმარისობა, მიოკარდიუმის ინფარქტი, და ა.შ.

### ***ჰიპერკორტიციზმის კლინიკური სურათი***

იცენკო-კუშინგის დაავადების დიაგნოზი დასმული იყო 20 შემთხვევაში, იცენკო-კუშინგის სინდრომის დიაგნოზი – 15 შემთხვევაში, ექტოპიურად მაპროდუცირებელი აკტჰ-სინდრომის დიაგნოზი – 2 შემთხვევაში. ქალი იყო – 23, კაცი – 14, დაავადების ხანგრძლივობა იყო 1,5-დან 16 წლამდე. ასაკი მერყეობდა 22-დან 54 წლამდე.

იცენკო-კუშინგის დაავადების დროს კლინიკური სურათი ვითარდებოდა უფრო ნელა, ვიდრე იცენკო-კუშინგის სინდრომის დროს.

37 პაციენტის დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ყველაზე ადრეული და ხშირი სიმპტომი არის დისპლასტიური ტიპის სიმსუქნე (100%), სასქესო ფუნქციის დარღვევა (78,2%), კანის ტროფიკის დარღვევა (75%). საკმაოდ ადრე გამოვლინდა კუნთების სისუსტე და ადვილად დაღლა (97,1%), თავის ტკივილი (85,4%), შრომისუნარიანობის დაქვეითება (78%). კლინიკურ სურათს შემდგომში ემატება ოსტეოპოროზი (100%), რომელიც აღენიშნა ყველა პაციენტს, არტერიული ჰიპერტენზია (89,1%), ქალებში ჰირსუტიზმი (81,5%), ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევა (59,1%), ფსიქონევროლოგიური დარღვევები (45,4%) (ცხრილი.№7).



ცხრილი.№7. ძირითადი სიმპტომების სიხშირე ჰიპერკორტიციზმის დროს

სიმპტომები	სიმპტომების სიხშირე n /%
დისპლასტიური ტიპის სიმსუქნე	37/100,0
სასქესო ფუნქციის დარღვევა	28/78,2
კანის ცვლილებები	27/75,0
დაღლილობა და სისუსტე	35/97,1
თავის ტკივილი	31/85,4
შრომისუნარიანობის დაქვეითება	28/78,0
ოსტეოპოროზი	37/100,0
არტერიული ჰიპერტენზია	33/90,0
პირსუტიზმი ქალებში	30/81,5
ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევა	21/59,1
ფსიქონევროლოგიური დარღვევები	16/45,4

n=ავადმყოფების რაოდენობა

ექტოპიურად მაპროდუცირებელი აკტჰ – სინდრომის ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა განღვევას, რაც დამახასიათებელი იყო დაავადების ტარმინალური ფაზისათვის.

**ექგ-ნიშნები ჰიპერკორტიციზმის დროს.**

ექგ-გამოკვლევის შედეგად ავადმყოფებში მაღალი არტერიული წნევით დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები. ასეთი ცვლილებები აღმოაჩნდა ყველა ავადმყოფს ჰიპერკორტიციზმით დაავადების ხანგრძლივობით 5 წელი და მეტი და ავადმყოფებს 40 წელზე ზემოთ.

ექგ-ზე აღენიშნებოდა პარკუჭოვანი კომპლექსის ცვლილებები ST-სეგმენტის დაპრესიის სახით, გასწორებული და უარყოფითი T-კბილები. 12 ავადმყოფს გამოუვლინდა ჰიპოკალიემიის ნიშნები – U-კბილის გადიდება უპირატესად გულმკერდის განხრებში (V<sub>2-4</sub>).

რითმის დარღვევა პარკუჭოვანი ექსტრასისტოლიის სახით აღინიშნა 2 ავადმყოფს ექტოპიურად მაპროდუცირებელი აკტჰ-სინდრომით, იცენკო-კუშინგის დაავადებით 3 ავადმყოფს ასაკობრივ ჯგუფში 36 წელი და მეტი. იცენკო-კუშინგის სინდრომით 6 ავადმყოფს და იცენკო-კუშინგის დაავადებით 5 ავადმყოფს აღინიშნა სინუსური ტაქიკარდია სიხშირით 100/120 დარტყმა წუთში.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან გლუკოკორტიკოიდებს აქვთ უნარი გულის გამტარიანობა გაზარდონ, ჰიპერკორტიციზმით დაავადებულ პაციენტებში იშვიათად გვხვდება რითმის და გამტარიანობის დარღვევა. ამ პაციენტებს ხშირად აღენიშნებათ P-Q ინტერვალის შემოკლება ( სინუსური ტაქიკარდია). ამიტომ, რითმის და გამტარიანობის დარღვევა მიუთითებს გულის იშემიური დაავადების განვითარებაზე.

**ჰიპერკორტიციზმის პორმონალური დიაგნოსტიკა**

ჰიპერკორტიციზმის დიაგნოსტიკაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ეტაპები:

1. იმ სიმპტომების გამოვლინება, რომლებიც დამახასიათებელია ჰიპერკორტიციზმისთვის და პაციენტების გამოყოფა შემდგომი გამოკვლევისათვის,
2. დიაგნოზის დადასტურება,
3. ჰიპერკორტიციზმის ნოზოლოგიური ფორმის იდენტიფიკაცია.

ჰიპერკორტიციზმის ჰორმონალური დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომი და ინფორმატიული მეთოდი არის 17-OKS-ის განსაზღვრა 24-საათიან შარდში. ეს მეთოდი ჩვენ შემთხვევაში გამოვიყენეთ 20 ავადმყოფში.

14 შემთხვევაში, ჰიპერკორტიციზმზე ეჭვით, განმეორებით გამოკვლევებში 17-OKS-ის ექსკრეცია იყო მომატებული, მიუხედავად ჰიპერკორტიციზმის ფორმისა.

უნდა აღინიშნოს, რომ 17-OKS-ის ექსკრეცია შარდში დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა ჰიპერკორტიციზმის დიაგნოსტიკისათვის. მაგრამ ამ მიზნით ამ მეთოდის გამოყენება შეზღუდულია რამოდენიმე მიზეზის გამო. ისეთი მდგომარეობების დროს, როგორც არის სიმსუქნე, თირეოტიკოსიკოზი ამ ნივთიერებების ექსკრეცია მომატებულია, ხოლო ჰიპოთირეოზის დროს – შემცირებულია, რაც არ შეესაბამება ჭეშმარიტ ჰიპერ- ან ჰიპოკორტიციზმს.

დიაგნოსტიკის უტყუარ მეთოდს წარმოადგენს კორტიზოლის და ადრენოკორტიკოტროპული (კორტიკოტროპინის) ჰორმონის ბაზალური დონის და დღეღამური სეკრეციის რითმის განსაზღვრა სისხლში.

ნორმაში ჯანმრთელ ადამიანებში კორტიკოსტეროიდების ყველაზე მაღალი დონე აღინიშნება დილის 6-8 საათზე. 12 საათისთვის მისი დონე მკვეთრად მცირდება, შემდეგ შემცირება მიდის უფრო ნელა და 22-24 საათისთვის აღწევს ყველაზე მინიმალურ ზღვარს. 18-20 საათისთვის კორტიკოსტეროიდების კონცენტრაცია დაახლოებით 2-2,5 ჯერ დაბალია, ვიდრე დილით. ჯანმრთელ ადამიანებში დილის 8-9 საათზე კორტიზოლის კონცენტრაცია საშუალოდ შეადგენს 300 ნმოლ/ლ, საღამოს 21-23 საათზე – 120 ნმოლ/ლ.

ცხრილი №8. კორტიზოლის შემცველობა სისხლში ჰიპერკორტიციზმით დაავადებულ ავადმყოფებში.

	კორტიზოლი			
	8-9 საათი (N-255-414 ნმოლ/ლ)		21-23 საათი (N-55-221 ნმოლ/ლ)	
	M± m	p	M± m	p
იცენკო-კუშინგის დაავადება n=20	496,0 ± 18,1 t=9,49	<0,001	248,2 ± 5,7 t=25,19	<0,001
იცენკო-კუშინგის სინდრომი n=15	349,6 ± 34,2 t=1,72	>0,08	314,2 ± 33,7 t=6,42	<0,001
ექტოპიურად მპროდუცირებელი აკტპ-სინდრომი n=2	649,5,2 ± 1,7 t=8,7	<0,001	549,7 ± 4,2 t=98,2	<0,001
ჯანმრთელი პირები n=15	286,6 ± 12,6		97,4 ± 1,8	

შენიშვნა: შედეგები ითვლება სარწმუნო თუ  $P \leq 0,05$ .

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა პაციენტს ჰიპერკორტიციზმით კორტიზოლის შემცველობა სისხლში იყო სტატისტიკურად მომატებული ( $P \leq 0,05$ ), აგრეთვე იყო დარღვეული კორტიზოლის სეკრეციის ცირკადული რითმი (გარდა იცენკო-კუშინგის სინდრომისა, როდესაც დილის საათებში კორტიზოლის კონცენტრაცია იყო მომატებული, მაგრამ აღმოჩნდა სტატისტიკურად არასარწმუნო  $P > 0,08$  )

ჩვენს კლინიკაში კორტიზოლის სეკრეციის ცირკადული რითმი შესწავლილი იყო 37-ივე ავადმყოფში. იცენკო-კუშინგის დაავადებით 9 ავადმყოფს აღინიშნებოდა ჰორმონების სეკრეციის მონოტონურობა, 5 ავადმყოფს - დღეღამური სეკრეციის რითმის დარღვევა, მომატება უპირატესად ღამის საათებში, და 6 ავადმყოფის შემთხვევაში – სეკრეციის რითმი შენარჩუნებული იყო, მაგრამ მომატებული იყო გამოკვლევის ყველა დროის მონაკვეთში. იცენკო-კუშინგის სინდრომით და ექტოპიურად მპროდუცირებელი აკტპ-სინდრომის დროს

აღინიშნებოდა ჰორმონების სეკრეციის მონოტონურობა. იცენკო-კუშინგის დაავადებით და ექტოპიურად მაპროდუცირებელი აკტჰ-სინდრომის დროს კორტიზოლის სეკრეცია დილის 9 საათზე სარწმუნოდ მაღალი იყო, ვიდრე ავადმყოფებში იცენკო-კუშინგის სინდრომის დროს.

უფრო ინფორმატიული, დიფერენციულ-დიაგნოსტიკური კრიტერიუმი არის კორტიკოტროპინის დონის განსაზღვრა სისხლში

კორტიკოტროპინის შემცველობას სისხლში, ჯანმრთელ პირებში, ახასიათებს დღელამური პერიოდულობა, რომელიც ანალოგიურია კორტიზოლის რითმის დღელამურ სეკრეციასთან. კორტიკოტროპინის დონე სისხლში დილით საშუალოდ 2-3 ჯერ მაღალია, ვიდრე საღამოს.

ცხრილი №9. კორტიკოტროპინის შემცველობა სისხლში ჰიპერკორტიციზმიით დაავადებულ ავადმყოფებში.

	კორტიკოტროპინი			
	8-9 საათი (N-10-80 ნგ/ლ)		21-23 საათი (N-10-80 ნგ/ლ)	
	M± m	p	M± m	p
იცენკო-კუშინგის დაავადება n=20	120,8 ± 3,37 t=10,54	<0,001	124,3 ± 3,7 t=10,84	0,001
იცენკო-კუშინგის სინდრომი n=15	11,8 ± 1,5 t=9,6	<0,001	14,6 ± 1,8 t=2,2	<0,001
ექტოპიურად მაპროდუცირებელი აკტჰ-სინდრომი n=2	248,0 ± 10,59 t=16,26	<0,001	260,5 ± 10,78 t=22,1	<0,001
ჯანმრთელი პირები n=15	59,5 ± 4,7			

შენიშვნა: შედეგები ითვლება სარწმუნო თუ  $P \leq 0,05$ .  $19,8 \pm 1,49$

